



რა ძლიერი მხარეები აქვს თქვენს შვილს?

მშობლები ხშირად აქცენტს ბავშვის საჭიროებებსა და სირთულეებზე აკეთებენ, თუმცა ბავშვის ძლიერი მხარეების ამოცნობა, მათი აღიარება და ხაზგასმით არანაკლებ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი იმ ბავშვების შემთხვევაში, რომელთაც სხვადასხვა აკადემიური სირთულე აღენიშნებათ. ზოგიერთი ძლიერი მხარის დანახვა იოლია, მაგალითად ხატვის ან მუსიკალური ნიჭის. თუმცა ყველა ძლიერი მხარე ერთი შეხედვით შესაძრწვევი შეიძლება არ იყოს. გადახედეთ ქვემოთ მოცემულ სიას და მონიშნეთ ის ძლიერი მხარეები, რომლებიც თქვენს შვილს აქვს:

პიროვნული ნიშან-თვისებები

- გულწრფელობა და სანდოობა
- მგრუნველობა და სიკეთე
- დახმარებისთვის მზაობა
- თანაგრძნობის უნარი
- ერთგულება
- შრომისმოყვარეობა
- დამოუკიდებლობა
- მედეგობა,
- სტარსთან გამკლავების უნარი
- მოტივირებულობა
- ცნობისმოყვარეობა
- გუნდურობა

სოციალური უნარ-ჩვევები

- გაზიარების, ჯარის დალოდების, დათმობაზე წასვლის უნარები
- თანამოსაუბრის მოსმენის უნარი
- დიალოგის წარმართვის უნარი
- მეგობრების შექმნის და შენარჩუნების უნარი
- გასაჭირში მყოფი ადამიანის დახმარების სურვილი
- განსხვავებულობის მიღების და პატივისცემის უნარი
- დახმარების თხოვნის და მიღების უნარი
- იმედგაცრუებაებთან მისაღები გზით გამკლავების უნარი
- საკუთარ ქცევებსა და ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღების უნარი
- შეცდომის აღიარების და ბოდიშის მოხდის უნარი
- იუმორის გრძნობა

სხვა ძლიერი მხარეები

- შემოქმედებითი აზროვნება, კრეატიულობა
- ხატვით გატაცება
- ცეკვა, არტისტულობა, სიმღერა ან მუსიკალური ინსტრუმენტზე დაკვრის უნარი
- სპორტულობა, მოქნილობა და ათლეტურობა
- ცხოველების ან მცენარეების სიყვარული და მათზე ზრუნვა
- გარემომყოფთა გამხიარულების სურვილი და უნარი
- პრობლემების გადაჭრის უნარი, თუნდაც ფიზიკური ან ვიდეო თამაშების პროცესში.

